საინფორმაციო ბიულეტინი

„რეალური ნაბიჯებიდან რეალურ შედეგებამდე“

2018 წლეს ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ დაარსებიდან 20 წელი გავიდა. 20 წელია ორგანიზაცია თავდაუზოგავად მუშაობს ქვეყანაში სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებულ ინფორმაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობაზე.

25 ოქტომბერს „ჰერა ოცდაერთმა“ 20 წლიანი მუშაობა გრანდიოზული ღონისიძებით შეაჯამა, რომლესაც ესწრებოდნენ მოწმეული სტუმრები როგორც ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორიდან, ისე საერთაშორისო ქსელებიდან და პარტნიორი ორგანიზაციებიდან.

ღონისძებაზე ორგანიზაციამ წარადგინა სტრატეგიული მიმართულებები და თითოეულ კომპონენტში მიღწეული შედეგები და გამოწვევები. უფრო კონკრეტულად, სტუმრებთან ერთად განვიხილეთ „ჰერა ოცდაერთის“ როლი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკატირების სფეროში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშრისო დონეზე; რეპროდუქციული ჯანდაცვის თანამედროვე და ხარისხიან სერვისებზე ხელმისავწდომობა; მოსახლეობის ინფორმირებულობაზე ზრუნვა და ეფექტური კომუნიკაციის ფორმები ასეთ მგრძნობიარე თემებზე მუშაობისას; ფორმალური და არაფორმალური განათლება რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე; ახალგაზრდული აქტივიზმი და ორგანიზაციის მოხალისეთა ფართო ქსელის მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. პანელურ დისკუიებს უძღვებოდნენ ორგანიზაციის მოქმედი თანამშრომლები, ხოლო მასში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი პარტნიორები, კონსულტანტები და სფეროს ექსპერტები.

ღონისძიება დასრულდა „ჰერა ოცდაერთის“ 20 წლიანი მუშაობის შემაჯამებელი ფილმის ჩვენებით.

პროფესიული ჯგუფების განათლება.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ მუდმივად ზრუნავს სხვადასხვა პროფესული ჯგუფების ინფორმირებულობასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით, რათა მათ, თავიანთი პროფესიული საქმინაობის განხორციელებისას შეძლონ დაიცვან თემასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები და ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და რეპროდუქციული უფლებების დაცვას.

ამ მიზნით, „ჰერა ოცდაერთი“ მეორე წელია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდნეტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სასწავლო კურსი - „სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ზოგადად, გენდერულად მგრძნობიარე საკითხების გაშუქება მედიაში“.

კურსის მიზანია ხელი შევუწყოთ მომავალ ჟურნალისტებს თავიანთი პროფესიული სქამინაობის განხორციელებისას შეძლონ აღნიშნული საკითხების კვალიფიციურად გაშუქება, საზოგადოებამდე ინფორმაციის სწორი აქცენტებით მიტანა. კურსის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს მედიის როლზე საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების საქმეში, ასევე, მსგავსი მგრძნობიარე საკითხების შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების საფრთხეებზე.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ აქამდეც არაერთი პროექტი განუხორციელებია, რომელიც ემსახურება უშუალოდ მედიის წარმომადგენელთა უნარების გაძლიერებას რეპროდუქციულოი ჯანმრთელობის სფეროში, რაც, თავისთავად, წინაპირობაა იმისა საზოგადოებას მეტი საინტერესო და ნაყოფიერი მედიაპროდუქტი მიეწოდებოდეს ამ საკითხზე.

ახალგაზრდები.

გოგონათა საერთაშრისო დღე

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ ყოველწლიურად უერთდება მსოფლიო კამპანიას გოგონათა საერთაშრისო დღის აღნიშნვასთან დაკავშირებით. 11 ოქტომბერი 2012 წლიდან აღინიშნება და მიზნად ისახავს ახალგაზრდა გოგონების მხარდაჭერასა და მათთვის თანასწორი გარემოს შექმნას მთელ მსოფლიოში.

„ჰერა ოცდაერთის“ წლევანდელი მესიჯი ამ დღესთან დაკავშირებით არის „განათლება რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე აძლიერებს გოგონებს“. შესაბამისად, მთავარი აქცენტი წელს ახალგაზრდა გოგონების განათლებასა და ინფორმირებულობაზე გავაკეთეთ.

ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილმა თბილისისა და ხობის ახალგაზრდულმა ჯგფებმა, შესაბამისად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხობის მნიციპალიტეტის სოფ. პირველი მაისის საჯარო სკოლებში ჩაატარეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესია გენდერულ თანასწორობაზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და გოგონათა განათლებაზე. სესიების შემდეგ, რომლებიც ჩაატარეს ასოციაციის მიერ სპეციალურად გადამზადებულმა თანასწორ-განმანათლებლებმა, ღია სივრცეში მოეწყო გასართობი კამპანია, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა მინი ვიქტორინაში. კამპანიის მონაწილეებმა ორგანიზაციისგან მიიღეს სიმბოლური საჩუქრები.

ახალგაზრდული კონფერენცია

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა“ თბილისის მერიის ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებასთან“ თანამშრომლობით ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია „ახალგაზრდების სქესობრივი ჯანმრთელობა და უფლებები“. კონფერენციაზე თავისი ნაშრომის წარდგენის საშუალება 12 ახალგაზრდას მიეცა, რომლებმაც მოხსენებები გააკეთეს შემდეგ თემებზე: სქესობრივი განათლების პრიორიტეტები, ახალგაზრდების ინფორმირებულობა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე, ადრეული ქორწინება, მოზარდების რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ა.შ.

კონფერენციის გამარჯვებულს, რომელიც სპეციალურად მოწვეულმა ჟიურიმ გამოავლინა, დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით, დანარჩენ მონაწილეებს კი გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები და შესაბამისი სერთიფიკატები. კონფერენცია 5 დეკემბერს, მოხალისეთა საერთაშრისო დღეს ჩატარდა.

ორგანიზაციის მიზანია რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებით და მათ ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის კვალიფიციურ ინფორმაციაზე.

განათლება.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება ახალგაზრდების რეპროდუქციულ ჯანმრთელობა, უფლებების დაცვასა და მათ სქესობრივ განათლებაზე ზრუნვაა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ახაგაზრდების იმ ჯგუფებზე, რომლებსაც ამ ყველაფრის ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვს.

2018 წლის მიწურულს ორგანიზაციამ დაიწყო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას. ჩვენს მიერ გადამზადებული სოცილაური მუშაკები ატარებენ საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს სხვადასხვა საჭიროების მქონე ახალგაზრდებთან და უზრუნველყოფენ მათ ინფორმირებულობას ჯანსაღი ცხოვრების წესსა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. მნიშვნელოვანია, რომ მოწყვლადი ახალგაზრდული ჯგუფების ცოდნას იღებენ მათდამი კეთილგანწყობილ გარემოში, კვალიფიციური პირებისაგან.

კამპანიის ფარგლებში ჩატადა 20-მდე შეხვედრა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. კამპანია განხორციელდა სხვადასხვა სახელწმიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, მათ შორის: დანაშაულის პრევენციის ცენტრი, პრობაციის ეროვნული სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს კარიტასი, World Vision Georgia, SOS ბავშვთა სოფელი და ა.შ.

ადამიანის უფლებათა საერთაშრისო დღე



10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათ საერთაშორისო დღეს, „ჰერა ოცდაერთის“ კონსულტანტმა იურიდიულ საკითხებში ჩაატარა საგანმანათლებლო შეხვედრა/დისკუსია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სახელწოდებით „გენდერულად სენსიტიური მიდგომა ჯანმრთელობის მომსახურების სფეროში“.

სამედიცინო უნივერსიტეტსი სტუდნეტებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ცოცხალი ისტორიების მოსმენა/განხილვა ქალთა ძალადობრივ გამოცდილებებზე და სამედიცინო მომსახურების სფეროს უფლებრივ ჭრილში განხილვა.

აქტივობა განხორციელდა სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების (SIS) მხარდაჭერით.

პატრნიორობა

2018 წლის ოქტომბერში, ასოციაცა „ჰერა ოცდაერთს“ საქმიანი ვიზიტით ეწვია საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის ევროპული ქსელის (IPPF EU) პრეზიდენტი გაბრიელ ბიანჩი.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ორგანიზაციის თანამშრომლებთან, ბორიდს წევრებთან და მოხალისეებთან. გაბრიელ ბიანჩი დაესწრო ორგანიზაციის მიმდინარე აქტივობას იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში, რომელიც ეხებოდა ოჯახის დაგგემვის სერვისებზე სრულ და ყოვლისმომცველ ხელმისაწვდომობას.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ არის ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული ქსელის ერთადერთი წარმომადგენელი საქართველოში. უკვე წლებია, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების დიდი ნაწილი სწორედ IPPF-ის მხარდაჭერით ხორციელდება.

შიდსთან ბრძლის საერთაშრისო დღე

შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, 1 დეკემბერი, „ჰერა ოცდაერთმა“ პარტნიორ კლინიკაში, ბოლნისის ცენტრალურ საავადმყოფოში აღნიშნა. დაბა კაზრეთში, ადგილობრივი მოსახლეობას, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ უფასო ტესტირება გაევლოთ აივ/ინფექცია შიდსზე და იქვე მიეღოთ ზოგადი კონსულტაცია ინფექციის გავრცელების გზებსა და მისი პრევენციის შესაძლებლობებზე. ტესტირება ჩატარდა B და C ჰეპატიტებზეც.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთს“ მუდმივად მუშაობს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებაზე, მათი პრევენციის ეფექტურ მექანიზმებზე და სგგი-სა და სსგდ-ს მატარებელი ადამიანების უფლებების დაცვაზე.

ადვოკატირება

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ორგანიზებით, 2018 წლის მიწურულს ჩატარდა ტრენინგი ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. ტრენგში მონაწილეობა მიიღო „ჰერა ოცდაერთის“ ინიციატივითა და მხარდაჭერით, 2014 წლეს შექმნილ კოალიციაში - „რეპროდქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისთვის“ - შემავალმა 10-ზე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმადგენელმა.

ტრენინგს ესწრებოდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციური ტრენინგის მიზანი იყო ტექნიკური გაძიერება საერთაშორისო მონიტორინგის ინსტრუმენტების, მათ შორის CDEAW კომიტეტში არსებული საადვოკაციო პროცესებისა და მექანიზმების შესახებ.

ტრენინგის განმავლობაში ვიმსჯელეთ როგორ უკავშირდება პოლიტიკის დონეზე მიმდინარე ცვლილებები საერთაშორისო ვალდებულებების იმპლემენტაციის შესრულების პროცესს; გავუზიარეთ ერთმანეთს საკუთარი რესურსები, გამოცდილებებიდა და საუკეთესო პრაქტიკები; განვსაზღვრეთ სამომავლო თანამშრომლობისა და მუშაობის სტრატეგა და ა.შ.

რესურსმობილიზაცია.

2018 წლის ბოლო აქტივობა, აოსოციაცია „ჰერა ოცდაერთში“ იყო ერთობლივი ტრენინგი ორგანიზაციის ბორდის წევრების, თანამშრომლებს, ახალგაზრდული ჯგუფის წევრებისა და მოხალისეებისთვის. ტრენინგის მიზანი იყო განვითარების პროექტების უკეთ განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღება. მსმენელებმა მიიღეს ინფორმაცია პროექტში მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობის, ასევე, გაზომვადი ინდიკატორების შესახებ.

ტრენინგზე მიღებული ცოდნა მნიშვნელოვანია ორგანიზიის რესურსმობილიზაციის კომპონენტის უკეთესი ფუნქციონირებისთვის და მასში ორგანიზაციასთან აქტიურად დაკავშირებული ყველა ადამიანის ჩართვისთვის.

ბიზნესგეგმა ინფორმაციულ

ვერა HERA xx

მედია ჩვენზე

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ახალგაზრდული ჯგუფის წევრები, გოგონათა საერთაშორისო დღეს, 11 ოქტომბერს, მიწვეულები იყვნენ ქვეყნის ყველაზე რეიტინგული ტელევიზიის, ტელეკომპანია „იმედის“, გადაცემაში „იმედის დღე“. ჩვენმა თანასწორ-განმანათლებლებმა და მოხალისეებმა პირდაპირ ეთერში ისაუბრებს იმ გამოწვევებსა და პრობლემებზე, რომელთა წინაშეც არიან ახალგაზრდა გოგონები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის კუთხით. ასევე, უპასუხეს წამყვანების შეკითხვებს ორგანიზაციის ახალგაზრდული აქტივობებისა და სერვისების შესახებ.

გარდა ამისა, გოგონათა საერთაშრისო დღისადმი მიძღვნილი ჩვენი ახალგაზრდული კამპანია მოხვდა ამავე ტელევიზიის გადაცემა „ცეკავენ ვარსკვლავების“ ვიდეორგოლში, რომელშიც საუბარი იყო გენდერულ თანასწორობასა და ქალთა საჭიროებებზე.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ 20 წლიანი მუშაობის შემაჯამებელი ღონისძიება ფართოდ გაშუქდა ტელეკომპანია „TV პირველის“ გადაცემაში „საქმიანი დილა“. ორგანიზაციის შესახებ გასულ სიუჟეტში საუბარი იყო ორგანიზაციის სტრატეგიულ მიმართულებებზე და იმ შედეგებზე, რასაც მივაღწიეთ 20 წლიანი მუშაობის განმავლობაში.


Posted by Hera Hera
366 Views
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ
ᲰᲔᲠᲐ XXI
BUSINESS MEDIA
www.bm.ge
ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛ „ᲰᲔᲠᲐ XXI" 20 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲡᲐᲫᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲠᲐ
LIVE
ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲐᲕᲡ.
ᲐᲚᲕᲐᲜᲨᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲢᲐ

საინფორმაციო ბიულეტინი მომზადებულია
ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ.

ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს HERA-YOUTH.GE
ან, სოციალურ ქსელ facebook-ზე
ASOCIATONHERAXXI
და გაიგეთ უფრო მეტი ჩვენს შესახებ.